სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

18 დეკემბერი 2025

N 791/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთში შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“-ს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია კოდექსის II დანართის 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებისთვის განკუთვნილი ტერიტორია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჯურუყვეთში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ: 27.11.41.105, ფართობი 56 583 მ^2) მოიცავს, რომლითაც შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს. საპროექტო მიწის ნაკვეთის GPS კოორდინატებია: X-741305 Y-4663304; X-741525 Y-4663359; X-741612 Y-4663097; X-741434 Y-4663065; X-741413 Y-4663121; X-741368 Y-4663117.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე მოწყობილია შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“-ს სასაწყობე და საოფისე შენობა-ნაგებობები, ასევე ბეტონის საწარმო და საწვავით გასამართი სადგური (50-ტონიანი დიზელის რეზერვუარით), რომლებიც სააგენტოსთან შეთანხმებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის საფუძველზე ფუნქციონირებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადასამუშავებლად საპროექტო მიწის ნაკვეთზე ასევე განთავსებულია ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც სამსხვრევ-დამხარისხებელი ერთი ტექნოლოგიური ხაზით (წარმადობა 80 მ^3/სთ) და შესაბამისი დამხმარე ტექნოლოგიური ერთეულებით არის წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სამსხვრევ-დამხარისხებელი ტექნოლოგიური ხაზიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ: 27.11.41.123) დაახლოებით 280 მეტრში მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით 27.11.41.123 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და სამსხვრევ-დამხარისხებელი ტექნოლოგიური ხაზის განთავსების მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებს შორის მანძილი დაახლოებით 20 მეტრს შეადგენს. საპროექტო მიწის ნაკვეთის დასავლეთით, საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 150 მეტრში (GPS კოორდინატები: X-741132 Y-4663172) ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოა განთავსებული, რომელიც სკრინინგის განცხადების თანახმად, არ ფუნქციონირებს. საპროექტო მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 510 მეტრში მდინარე წყალწითელა მიედინება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი ხაზის შემადგენელი ძირითადი და დამხმარე ობიექტებია: მიმღები ბუნკერი; კონუსური და როტორული სამსხვრევები; საცერ-დამახარისხებელი; დახურული ტიპის ლენტური ტრანსპორტიორები; ნედლეულის და პროდუქციის საწყობები; მართვის განყოფილება; ტრანსფორმატორები; საწყობი კონტეინერი. შედუღების და აირული ჭრის სამუშაოებისთვის საპროექტო მიწის ნაკვეთზე ასევე მოწყობილია მექანიკური საამქრო. ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი ხაზი წელიწადში 260 დღე, 12-საათიანი რეჟიმით იფუნქციონირებს და წელიწადში 249 600 $მ^3$ ქვიშა-ხრეშის მშრალი მეთოდით გადამუშავებას უზრუნველყოფს.

სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საწარმოში წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო-ტექნიკური მიზნებით (ტექნოლოგიურ პროცესში ქვიშა-ხრეშის ან/და ამტვერების პოტენციური უბნების დასანამად). სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით საჭირო წყლით საწარმო ბუტილირებულად ან/და წყალმომარაგების ადგილობრივი ქსელიდან მომარაგდება, ხოლო საწარმოო-ტექნიკური დანიშნულებით საჭირო წყლით – ტერიტორიის მიმდებარედ გამავალი არხიდან (GPS კოორდინატები: X-741315 Y-4663262), რომლის შევსებაც ბუნებრივად ხდება. საწარმოო-ტექნიკური დანიშნულებით გამოყენებული წყლის მაქსიმალური რაოდენობა წელიწადში 6 000 $მ^3$-ს შეადგენს. დანამვის მიზნით მოხმარებული საწარმოო-ტექნიკური წყალი 40 $მ^3$ მოცულობის ღია რეზერვუარში შეგროვდება და ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნდება. ვინაიდან სკრინინგის განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება მშრალი მეთოდით მოხდება, ქვიშა-ხრეშის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი დასაზუსტებელია.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის ტერიტორიიდან სანიაღვრე წყლის არინების მიზნით მოწყობილია სანიაღვრე არხები, რომლებიც საწარმოო არეალიდან სანიაღვრე წყლის სწრაფ გადინებას უზრუნველყოფს, ხოლო ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების შეკრება გათვალისწინებულია 20 $მ^3$ მოცულობის ბეტონის საასენიზაციო ორმოში, რომელიც პერიოდულად განიტვირთება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული გაფრქვევის წყაროების გათვალისწინებით ადგილი ექნება არაორგანული მტვრის, მყარი ნაწილაკების, მანგანუმის და მისი ნაერთების, ნახშირბადის და აზოტის ოქსიდების, ასევე ნაჯერი ნახშირწყალბადების (C_{12}-C_{19}) წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. საქმიანობის ფარგლებში წლის განმავლობაში გადასამუშავებელი სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობის (249 600 $მ^3$/წელ) და უახლოეს მოსახლესთან დაშორების მცირე მანძილის (საკადასტრო საზღვრებს შორის დაახლოებით 20 მეტრი), ასევე არსებული ბეტონის საწარმოდან მოსალოდნელი გაფრქვევების გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

ზემოქმედება დამატებით შესწავლას და შეფასებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას მოითხოვს, რაც დეტალური კვლევის საგანია.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების მოდელირება, რომელიც უარესი სცენარით განხორციელდა. მიღებული შედეგებით, უახლოეს მოსახლესთან მიღებული ხმაურის დონე 37 დბა-ს შეადგენს. ვინაიდან საწარმოდან უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილი მცირეა, საჭიროა საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან ხმაურის მონიტორინგი და შესაბამისი მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, რაც საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე შესწავლა-შეთანხმების საგანია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას მუნიციპალური სამსახური უზრუნველყოფს, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას გადაეცემა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საწარმო ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში არსებული ბეტონის საწარმოს ტერიტორიაზეა მოწყობილი.

აღსანიშნავია, რომ სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სკრინინგის განცხადება სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს გადაეგზავნა. საპასუხო კორესპონდენციის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთი მოიცავს მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების განაცხადით გათვალისწინებულ ტერიტორიას და მისი პირველი სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას, რომელზეც ლიცენზიის გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებას საჭიროებს.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საწარმოში წლიურად გადასამუშავებელი სასარგებლო წიაღისეულის დიდი რაოდენობის და საწარმოდან უახლოეს მოსახლემდე დაშორების მცირე მანძილის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება დეტალურ შესწავლას და შეფასებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას მოითხოვს. ამასთან, საწარმოდან უახლოეს მოსახლემდე დაშორების მცირე მანძილიდან გამომდინარე, ასევე საჭიროა საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან ხმაურის მონიტორინგი და შესაბამისი მონიტორინგის გეგმის შეთანხმება. მითითებული საკითხები კი საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე შესწავლა-შეთანხმების საგანია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და II დანართის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთში შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“-ს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს გზშ-ს**;
2. შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“ ვალდებულია კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში;

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/791-21-4-202512181519

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE